



საქართველო



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

2.11.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №109

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სკვერისათვის თამაზ ჟორჟოლიანის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 15 ივნისის №512/03 მომართვის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სკვერს ეწოდოს თამაზ ჟორჟოლიანის სახელი.
2. მიღებული განკარგულება გადაგზავნილ იქნას და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიაში;
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ზუგდიდი, რ.ლალიძის ქუჩა №12).

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:


 ბესიკ ჭყეია
 226418956